## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №35
**(ელექტრონული ტენდერი NAT210013770)**

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

### 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *შპს „მოსავლის მართვის კომპანია”* (შემდგომში „შემსყიდველი“)
*მდებარე: ქ. თელავი, სოფ. აკურა*
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ *შპს ენოგრუპი”* (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.
*მდებარე: ქ.თელავი, ალაზნის გამზ. # 75*
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

### 3 ხელშეკრულების საგანი და ობიექტი.

3.1 ხელშეკრულების საგანია **შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“** მიერ **შპს „ენოგრუპისაგან“** ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოს, კერძოდ ყურძნის ავტომატური მზომის (CPV38424000) შესყიდვა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე შესყიდვის საშუალებით.

### 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

4.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **99 100** (ოთხმოცდაცხრამეტიათას ასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
4.2 ასევე ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში შედის ადგილზე მონტაჟი და მონტაჟის შემდგომ 10 დღიანი ტრენინგი.

### 5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების და ტენდერით განსაზღვრულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
5.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ნორმებს.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყო, კერძოდ ყურძნის ავტომატური მზომი.
5.4. შესყიდვის დანადგარის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ დავალებაში მოთხოვნილ პირობებს.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები.

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 50 კალენდარულ დღეში, შემდეგ მისამართზე: ქ. თელავი, სოფ. აკურა - (შპს „მოსავლის მართვის კომპანია" ს/კ 405406109).

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

## 8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი.

8.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
8.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში.

## 9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

9.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისგან პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20 პროცენტი.
10.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისგან პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტი.
10.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2. პუნქტის განსაზღვრული საქონლის ღირებულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია მოითხოვოს შემსყიდველისგან პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის **0,03** პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრამდე.
11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

## 12. სხვა პირობები.

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

**შემსყიდველი**

შპს „მოსავლის მართვის კომპანია“
თელავის რაიონი სოფ. აკურა
ს/კ 405406109
ს.ს. “ბანკი ქართუ”
კოდი: CRTUGE22
ა/ა № GE03CR0160009500853604

**დირექტორი:**
პაატა ჭავჭანიძე

Paata Tchavtchanidze
Digitally signed by Paata Tchavtchanidze
Date: 2021.08.11 12:56:58 +04'00'

**მიმწოდებელი**

შპს „ენოგრუპი“
მის: ქ.თელავი, ალაზნის გამზ. №75
ს/კ 431174739
სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა GE70TB7764336080100001

**დირექტორი:**
კოსტიანტინ ბალტაჟი

Kostiantyn Baltazhy 20591000073
Digitally signed by Kostiantyn Baltazhy
Date: 2021.08.11 11:09:07